ბ. არაფულადი ტექნიკური მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება. გრანტის მიზნების მისაღწევად, RPA/100RC რამდენიმე მიმართულებით უზრუნველყოფს არაფულად ტექნიკურ დახმარებას და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას. გრანტის მიმღებთან სამუშაოდ და ქალაქის მედეგობის სტრატეგიის შესაქმნელად, RPA/100RC გამოყოფს რესურსებს და უზრუნველყოფს დაფინანსებას. საჭიროების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოიცავს RPA/100RC პირადი ექსპერტების და RPA/100RC მიერ დაქირავებული სხვა და სხვა სახის მომსახურების მიმწოდებლების გრანტის მიმღებთან მუშაობას. RPA/100RC-ი ასევე ქმნის მესამე მხარის პარტნიორთა პლატფორმას ("პარტნიორთა პლატფორმა"), რომელსაც შეეძლება გრანტის მიმღებისათვის მედეგობის გეგმის შესამუშავებლად და შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტებისა და მომსახურების შეთავაზება. RPA/100RC, ასევე, უზრუნველყოფს გრანტის მიმღების მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის წვდომას სხვა, თანასწორ მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველების ქსელთან იმისთვის, რომ მან შეძლოს სხვა ქვეყნებში მის თანასწორ მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველებთან დაკავშირება და სტრატეგიებისა და ცოდნის გაზიარება. გრანტის მიმღები, როგორც წვერი ქალაქი, თანხმობას აცხადებს, რომ ამ გრანტის ფარგლებში მიღებულ რესურსებს და პარტნიორთა პლატფორმასთან თანამშრომლობას გამოიყენებს ქალაქის ინტერესებიდან და მედეგობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე. შესაძლებელია შეიქმნას საჭიროება, დაიდოს ახალი ხელშეკრულებები, რომელთაგანაც გათვალისწინებული იქნება ასეთი მომსახურების სპეციფიკური პირობები.

2. გრანტის პირობები. გრანტის მიმღები უზრუნველყოფს მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის პოზიციის პირდაპირ დაფინანსებას, მისი დანიშვნის/სამუშაოზე აყვანის თარიღიდან ორი წლის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში კი, არაფულადი ტექნიკური დახმარება, შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა და პარტნიორთა პლატფორმის მომსახურება, მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის დანიშვნის/სამუშაოზე აყვანიდან სამი წლის განმავლობაში იქნება

უზრუნველყოფილი. ლიმიტირებული არაფულადი ტექნიკური დახმარება RPA/100RC-ის დისკრეციით შეიძლება გაგრძელდეს სამი წლის შემდეგაც.

RPA/100RC-ი გრანტის ხელშეკრულებას გაუქმებულად და გაბათილებულად ჩათვლის, თუ მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველი ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში არ მიიღებს სახელფასო ანაზღაურებას.

3. გრანტის მიმღების სამართლებრივი სტატუსი. RPA/100RC გასცემს ზემოხსენებულ გრანტს იმის გათვალისწინებით, რომ გრანტის მიმღები ამერიკის შეერთებული შტატების საშემოსავლო სამსახურის კოდექსის ან ალტერნატიული უცხოური სამთავრობო კოდექსის განმარტებით არის სამთავრობო უწყება ან სახელმწიფო სააგენტო ან სახელმწიფო ორგანო.
4. საგრანტო ფონდის გადახდა (გადარიცხვა). მას შემდეგ, რაც RPA/100RC მიიღებს გრანტის მიმღების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილ ამ გრანტის ხელშეკრულებას, ასევე, მიიღებს ყველა იმ დოკუმენტს, რაც მითითებულია N2 დანართში და როცა დაინიშნება კვალიფიციური კანდიდატი მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის პოზიციაზე, რომლის კანდიდატურაც განხილული და შეთანხმებული იქნება 100RC-სთან, RPA/100RC გრანტის მიმღებს გამოუყოფს საგრანტო ფონდს, ყოველი 6 თვის თავზე, მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის შრომის ასანაზღაურებლად იმ პირობებით, რაც ზემოთაა მოცემული.

პირველი და მეორე წლის საგრანტო ფონდი გადაირიცხება ოთხჯერადი გადარიცხვით 6-თვიანი შუალედებით, მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის პოზიციაზე დანიშვნის თარიღის გათვალისწინებით და დამოკიდებული იქნება ამ ხელშეკრულების სხვა პირობებთან შესაბამისობაზე და მთავარი მიზნების მიღწევაზე. მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველი უნდა იღებდეს ანაზღაურებას გრანტის მიმღებისგან, სანამ გრანტის გამცემი გასცემს გრანტს.
თუ N1 დანართში მოცემული მთავარი მიზნების მიღწევას გრანტის მიმღები ვერ ახერხებს მითითებულ ვადებში, მაშინ საჭიროა, RPA/100RC-მ ამის შესახებ მიიღოს წერილობითი შეტყობინება 60 დღით ადრე, რათა RPA/100RC-მ და გრანტის მიმღებმა შეძლონ განახლებულ გრაფიკზე შეთანხმების მიღწევა.
5. საგრანტო ფონდის გამოყენება. გრანტის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, გრანტის მიმღები აცნობიერებს და თანხმდება პირობაზე, რომ საგრანტო ფონდს გამოიყენებს მხოლოდ ზემოთ აღწერილი საქველმოქმედო დანიშნულების და დანართში N1 მოცემული სპეციფიური მიზნების მისაღწევად. ძირითადი პერსონალის ცვლილების ან გამოყოფილი ფონდის მიზნობრივად გამოყენებაში მნიშვნელოვანი სიძნელეების შექმნისთანავე, გრანტის მიმღები დაუყოვნებლივ აცნობებს RPA/100RC-ს და AD-ს. მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის შეცვლა უნდა იყოს 100RC მიერ წერილობით დადასტურებული, რათა

შენარჩუნდეს მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის სახელფასო ანაზღაურების დაკმაყოფილებისათვის პირდაპირი დაფინანსების უფლება.

6. გამოუყენებელი საფონდო სახსრების უკან დაბრუნება. საგრანტო ფონდის ნებისმიერი გამოუყენებელი ნაწილი ან საგრანტო ფონდით მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც არ არის მიმართული ან არ იხარჯება პროექტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, RPA/100RC მიერ შეტყობინების მიწოდებიდან 60 დღის ვადაში დაუყოვნებლივ უკან უნდა დაუბრუნდეს RPA/100RC-ს.

7. ანტი-ტერორისტული/ანტი-კორუფციული. გრანტის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ თუ ირიბად, ძალადობრივი პოლიტიკური საქმიანობის, ტერორიზმის, ან ტერორისტული ორგანიზაციების ნებისმიერი ფორმის მხარდასაჭერად. გრანტის მიმღები ხელს არ შეუწყობს ძალადობას, ტერორიზმს, ფანატიზმს ან სხვა რაიმე სახის არეულობას საგრანტო პერიოდის განმავლობაში. გრანტის მიმღები ადასტურებს, რომ მოქმედებს გონივრულ ფარგლებში, რათა უზრუნველყოს, რომ ის და მისი თანამშროლები და მოხალისეები არ არღვევენ ანტი-კორუფციულ, ანტი-ტერორისტულ, ფულის გათეთრების კანონს და რეგულაციებს და არ არიან ჩართულნი კორუფციაში, ტერორიზმსა და ფულის გათეთრებაში.

8. ანგარიშები. გრანტის მიმღები გამოიყენებს RPA/100RC მიერ მიწოდებული ანგარიშების მბალონებს იმისთვის, რომ წარადგინოს საგრანტო ფონდის წინასწარ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით გაწერილი ხარჯვის, გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი ბიუჯეტის და გრანტის მიზნების მიღწევის სრული და დეტალური ანგარიშები. ანგარიშები უნდა შედგეს დანართში N1 გაწერილი განრიგისა და საჭიროებების მიხედვით.

ყველა ანგარიშს ხელი უნდა მოაწეროს მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველმა და მისმა სუპერვაიზერმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა). დამატებითი მოთხოვნის შემთხვევაში, RPA/100RC-ს უნდა გაეგზავნოს დოკუმენტაციის ასლები, ჩანაწერები და სხვა მასალები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია RPA/100RC გრანტთან.

გრანტის მიმღებმა AD-ს ან ნებისმიერ 100RC-ის უფლებამოსილ პერსონალს რეგულარულად უნდა მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია პროექტის სტატუსის და ასოცირებული აქტივობების შესახებ.

9. გრანტის გაგრძელების ან ცვლილების მოთხოვნა. გრანტის გაგრძელების ან მოდიფიკაციის მოთხოვნის წარსადგენად, გრანტის მიმღებმა გრანტის გაგრძელების ან შეცვლის საჭიროების დეტალურ განმარტებასთან ერთად უნდა წარადგინოს უახლესი პროგრესის ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება. გრანტის მიზნობრიობის შეცვლა შეუძლებელია.

ნებისმიერი გაგრძელების თუ ცვლილების მოთხოვნა, ელექტრონული ფოსტით უნდა გაეგზავნოს AD-ს. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, RPA/100RC გრანტის მიმღებს გაუგზავნის გრანტის ცვლილების დამადასტურებელ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც შევა მიზნების მიღწევის შეცვლილი გრაფიკი, ანგარიშგების მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში, გადახდის ახალი წესები. შეტყობინება თან დაერთვის გრანტის ხელშეკრულების ორიგინალს.

10. კონტაქტები.

- 100 მედეგი ქალაქი – სამერ ბაგაინ, ასოცირებული დირექტორი, sbagaeeen@100resilientcities.org
- გრანტის მიმღების საგრანტო ადმინისტრატორი - ნიკოლოზ ფარსადანიშვილი, საფინანსო საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი. nikoloz.parsadanishvili@law.tsu.edu.ge, +995 577 15 70 93
- როკფელერის ფილანტროფიის მრჩეველთა კორპორაცია: ქეთი მულიგან, kmulligan@rockpa.org.
- კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკითხებზე უნდა მიმართოთ 100RC კომუნიკაციების ოფისს MYoung@100RC.org.

11. დოკუმენტაციების წარმოება, ინსპექტირება და შენახვა. გრანტის მიმღები გრანტთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტი და ადეკვატური დოკუმენტაციის წარმოებასა და RPA/100RC მოთხოვნის შემთხვევაში აცხადებს თანხმობას, უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. გრანტის მიმღები, ასევე ეთანხმება გრანტთან დაკავშირებული ფონდებისათვის ცალკე ანგარიშებისა და საფინანსო ანგარიშგების წარმოებას. გრანტის მიმღებს არ ესაჭიროება ინდივიდუალური საბანკო ანგარიშის გახსნა. გრანტის მიმღები ეთანხმება პირობას, რომ საგრანტო ფონდის ამოწურვიდან 4 წლის განმავლობაში შეინახოს პროექტთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სრული დოკუმენტაცია და ასევე, RPA/100RC-სათვის წარდგენილი ყველა ანგარიშის ასლი. გრანტის მიმღები ასევე აღიარებს RPA/100RC უფლებას, ჩაუტაროს აუდიტი გრანტის მიმღების გრანტთან დაკავშირებულ საფინანსო ანგარიშგებას და დოკუმენტაციას.

12. მასალების გამოყენების უფლებამოსილება. გრანტის მიმღები RPA/100RC-ს აძლევს უფადო, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას გამოყენებად, არაექსკლუზიურ უფლებამოსილებას იმისთვის, რომ გამოიყენოს, აწარმოოს, გაანაწილოს, შეასრულოს, შეცვალოს, ადაპტირება მოახდინოს, მოდიფიცირებული სახით ჩამოაყალიბოს და სხვა მხრივ გამოიყენოს, დაამუშაოს ნებისმიერ ენაზე, ნებისმიერი არსებული თუ მომავალში შექმნილი მედიის საშუალებით ამ გრანტთან დაკავშირებული ან ამ გრანტის შედეგად გრანტის მიმღების მიერ შექმნილი ყველა წერილობითი ფორმით დოკუმენტირებული სამუშაო ან ანგარიში, ნებისმიერი ტიპის პუბლიკაცია და ნებისმიერი სახის მასალა (შემდგომში ერთობლივად "მასალა").

13. გარანტიები და ხელშეკრულებები. გრანტის მიმღები გარანტიას იძლევა მასზედ, რომ გრანტის მიმღებს აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების მინიჭების სრული უფლება, ასევე გრანტის მიმღების მიერ "მასალებთან" დაკავშირებული უფლებამოსილების მინიჭება არ დაარღვევს ინტელექტუალური საკუთრების, სახელშეკრულებო თუ მესამე მხარის სხვა რომელიმე უფლებას.
14. მონიტორინგი და შეფასება. გრანტის მიმღები ეთანხმება, მონაწილეობა მიიღოს RPA/100RC მიერ ორგანიზებულ შეფასებით საქმიანობაში იმისათვის, რომ RPA/100RC მიეცეს საშუალება განახორციელოს მონიტორინგი და შეფასოს პროექტის მთავარი ასპექტები. გრანტის მიმღები ასევე თანახმაა, დასაშვებ დროში RPA-სათვის, 100RC-სათვის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაცია და ჩანაწერები მათი ინსპექტირებისათვის, ასევე შექმნას პირობები ამ გრანტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების, მონიტორინგის და შეფასების განხორციელებისათვის. ზემოხსენებულში შეიძლება შედიოდეს: RPA/100RC-ის პერსონალის ან უფლებამოსილი პირის ვიზიტი გრანტის მიღების საქმიანობაზე დასაკვირვებლად, დისკუსიები გრანტის თემაზე გრანტის მიმღების პერსონალთან და ამ გრანტთან დაკავშირებული ფინანსური თუ სხვა დოკუმენტაციის შემოწმება.
15. შესრულება და გაუქმება. იმ შემთხვევაში თუ RPA/100RC ან გრანტის მიმღები მიიღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერი მიზეზით საგრანტო ვადის ამოწურვამდე შეწყვიტოს ეს გრანტის ხელშეკრულება, გრანტის მიმღები ვალდებულია RPA/100RC-ის წარუდგინოს შეწყვეტის თარიღისათვის არსებული ფინანსური ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია. თუ დანახარჯი გადააჭარბებს გრანტის ფიქსირებულ ფონდს, RPA/100RC გადაჭარბებული ხარჯის რაოდენობას დაფარავს იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები მიზანშეწონილია და იმ მომენტისთვის მისაღწევი ყველა მიზანი სხვაგვარადაა შეთანხმებული RPA/100RC-ა და გრანტის მიმღებს შორის და მასზე გრანტის მიმღებს RPA/100RC-სათვის განაცხადი წინასწარ აქვს წარდგენილი. თუ ჩარიცხული გრანტის თანხა აჭარბებს გაწეულ ხარჯებს, მაშინ გრანტის მიმღები ვალდებულია დაუბრუნოს განსხვავება (დაბალანსოს) RPA/100RC-ს.
16. კონფიდენციალურობა. გრანტთან დაკავშირებული საქმიანობის დროს, გრანტის მიმღებს ექნება პირდაპირი ან ირიბი წვდომა ან შეხება RPA/100RC-ის კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, რომელიმე შესაძლოა შედიოდეს სხვადასხვა პროგრამებთან, ფინანსურ ტრანზაქციებთან, გრანტების შექმნის პროცესთან და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული მასალა, მაგრამ ამ ჯგუფში არ შევა გრანტის მიმღებისათვის ცნობილი ან მის წარდგენამდე უკვე გასაჯაროებული ინფორმაცია ან ინფორმაციის ნაწილი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გასაჯაროვდება, თუ გრანტის მიმღები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს დარღვევს. გრანტის მიმღები აცხადებს თანხმობას, რომ გაატარებს

მიზანშეწონილ ზომებს, ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად და RPA/100RC თანხმობის გარეშე, ამ გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების გარდა, სხვა მიზნებისათვის მას არ გამოიყენებს და არ გაუზიარებს მესამე პირებს.

17. გრანტის გამოცხადება; საჯარო ანგარიშები და RPA-ის, 100RC-ის და ლოგოს გამოყენება. გრანტის მიმღები აცნობიერებს, რომ: (i) RPA-ი ფლობს „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc.“, “RPA“-ის, “100 მედეგი ქალაქის“, “100RC“-ის და სხვა სახელების, სავაჭრო ნიშნების, მომსახურების ნიშნების, ლოგოების და ასოცირებული ნიშნების ყველა საავტორო უფლებას (ერთობლივად, “RPA-ის ნიშნები”); (ii) RPA-ის ნიშნები გრანტის მიმღებისათვის დროდადრო მიწოდებული RPA-ის ხარისხის კონტროლის სტანდარტების შესაბამისად უნდა გამოიყენებოდეს; (iii) ამ გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში RPA-ის ნიშნების გამოყენებით მიღებული ნებისმიერი სარგებელი RPA-ის იურიდიული საკუთრება იქნება და გრანტის მიმღები არ მიიღებს არანაირი ტიპის უფლებას RPA-ის ნიშნებთან მიმართებაში; და (iv) გრანტის მიმღები RPA-ის ნიშნებს მსოფლიოს არც ერთ იურიდიულ სფეროში არ დაარეგისტრირებს და არც ეცდება მათ დარეგისტრირებას (დახმარებას არ გაუწევს მესამე მხარეს მათ დარეგისტრირებაში).

RPA-ი გრანტის მიმღებს მოუწოდებს გაასაჯაროოს ამ გრანტის მიღება. მაგრამ, გრანტის მიმღებმა ასოცირებული დირექტორისაგან წინასწარ უნდა მიიღოს დასტური RPA-ის ნიშნების გამოყენებასა და RPA/100RC-ის მიერ გრანტის დაფინანსების სურვილის გაცხადებაზე. გრანტის მიმღები ეთანხმება თავის კომუნიკაციებში RPA-ის მიერ დაფინანსებული პროექტებით (100RC) გრანტის მიმღების მხარდაჭერის აღნიშვნას.

დანიშნულმა ასოცირებულმა დირექტორმა, ასევე წინასწარ უნდა დაადასტუროს გრანტის მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ელექტრონული თუ ბეჭდვითი პრეს-რელიზი, მედია ან საჯარო კომუნიკაცია. AD-მ ასევე წინასწარ უნდა დაადასტუროს RPA-ს ნიშნების ნებისმიერი მიზნით გამოყენება. გრანტის მიმღებს უფლება აქვს, პროექტის დროს მიღებული გამოცდილება და დასკვნები გაავრცელოს და გაუზიაროს მათ, ვისთვისაც ეს ცოდნა სარგებლის მომტანი იქნება. ამასთან კავშირში, RPA-ი თავისი პროექტით-100RC თავისთავს მოიაზრებს როგორც აქტიური პარტნიორი, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს და გააფართოოს კომუნიკაცია. მას წინასწარ უნდა მიეწოდოს შეტყობინება მედია პროპაგანდის შესახებ. ამ გრანტთან დაკავშირებულ კომუნიკაციებზე დამატებითი ინფორმაციისა და დახმარებისათვის, გრანტის მიმღები მიმართავს ასოცირებულ დირექტორს.

100RC-ის ვებგვერდზე აიტვირთება დეტალური ინფორმაცია გრანტის მიმღების, როგორც წევრი ქალაქის მონაწილეობის შესახებ. ეს ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს.

18. მხარეთა ურთიერთობა. RPA/100RC და გრანტის მიმღების ურთიერთობა შეესაბამება გრანტის გამცემის და გრანტის მიმღების ურთიერთობას. RPA/100RC არ არის პასუხისმგებელი ამ გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად შემუშავებული სტრატეგიების შედეგებზე. ამ გრანტის ხელშეკრულების შინაარსი არ მიუთითებს სამართლებრივი პარტნიორობის თანამონაწილეობაზე, ერთობლივ საწარმოზე, დაქირავებულად ან ნებისმიერი მიზნით რომელიმე მხარის აგენტად/წარმომადგენელად ყოფნაზე. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლებამოსილება დაავალდებულოს მეორე მხარე ან თავის თავზე აიღოს მეორე მხარის რაიმე ვალდებულება, ამ მხარის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

19. ზარალის ანაზღაურება. გრანტის მიმღები თანხმობას აცხადებს დაიცვას, ზარალი აუნაზღაუროს/დააზღვიოს და გაანთავისუფლოს პასუხისმგებლობისგან RPA/100RC-ი, მისი მრჩეველები, აგენტები და პერსონალი ნებისმიერი ვალდებულებისაგან, დანაკარგისაგან, ხარჯისა და ზიანისაგან (ყველა დანახარჯის და მიზანშეწონილი ადვოკატის მომსახურების გადასახდელის ჩათვლით), ან ამ გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანების სარჩელისაგან, მათ შორის ქონების დაკარგვის ან დაზიანების სარჩელის ან ნებისმიერი პირის თუ პირთა დაღუპვის ან სხეულის დაზიანების სარჩელისაგან. გარდა ამისა, გრანტის მიმღები თანხმობას აცხადებს RPA/100RC -ის დაცვაზე ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან, ზარალისა და ხარჯებისაგან (ყველა დანახარჯის და მიზანშეწონილი ადვოკატის მომსახურების გადასახდელის ჩათვლით), რომლებიც შესაძლოა ამ გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში RPA/100RC-იმ მიიღოს მესამე მხარის სარჩელის სახით გრანტის მიმღების ან მისი პერსონალის, ან მრჩეველების მხრიდან სხვა კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების ხელშეკრულების პირობების, ვალდებულებების ან პასუხისმგებლობების დარღვევაზე ან შეუსრულებლობაზე.

20. მარეგულირებელი კანონმდებლობა. RPA/100RC-ი როგორც გრანტის გამცემი ამ ხელშეკრულებისთვის ირჩევს მარეგულირებელ კანონმდებლობას. შერჩევა ნაწილობრივ განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ RPA/100RC-ის არ აქვს პროექტის ყველა წევრი ქალაქის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ეს ხელშეკრულება სამართლებრივი ნორმების არჩევანის გაუთვალისწინებლად, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის მატერიალურ სამართალზე დაყრდნობით იქნება დარეგულირებული და განსაზღვრული. ამერიკის შეერთებული შტატების კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხები განიხილება ფედერალური კანონმდებლობის ფარგლებში.

21. უფლებამოსილება: გრანტის ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი ადასტურებს, რომ წარმოადგენს გრანტის მიმღებს და გააჩნია სრული იურიდიული უფლებამოსილება, გააფორმოს ხელშეკრულება გრანტის მიმღების სახელით.

22. მთლიანი ხელშეკრულება: ეს ხელშეკრულება, შესრულებული ინგლისურ და ქართულ ენებზე, თანდართული დანართებით, განსაზღვრავს გრანტის მიმღებსა და RPA/100RC-ის შორის ურთიერთშეთანხმებას და მათ შორის აბათილებს ყველა მის წინამსწრებ ხელშეკრულებას, დისკუსიას და წარმომადგენლობას. ნებისმიერი დავისა თუ შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურენოვან ვერსიას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი განახლება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და უნდა იყოს RPA/100RC და გრანტის მიმღების მიერ ხელმოწერილი.

დანართი 1: ქალაქის ვალდებულება, მიზნები და შედეგების მიღწევის გრაფიკი

შედეგები	შესრულების თარიღი
მიმდინარე აქტივობები	მიმდინარე
- გრანტის მოქმედების განმავლობაში, მედეგობის გამლიერების ირგვლივ პრეს (მედია) აქტივობებს ქალაქი 100RC-თან კოორდინაციით განახორციელებს [აქ დაამატეთ სხვა შეთანხმებული აქტივობები, მაგალითად კოორდინაციასთან დაკავშირებული სატელეფონო ზარები]	
სელმოწერილი გრანტის სელმსკრულება	[შევსების თარიღი]
- დანართი N2-ის შესაბამისად, ქალაქი უზრუნველყოფს გრანტის შესრულებას და მხარდამჭერი დოკუმენტაციის მიწოდებას - ქალაქი დანიშნავს გრანტის ადმინისტრატორს და 100RC-ს მიაწვდის მის საკონტაქტო ინფორმაციას	
მედეგობის საკითხებში მერის მრჩეველის (მმ) (CRO)	
სამსახურში აყვანა/თანამდებობაზე დანიშვნა და	[შევსების თარიღი]
უფლებამოსილების მინიჭება	
- ქალაქი სამსახურში აიყვანს/თანამდებობაზე დანიშნავს მმ-ს მაღალი სალიდერო რგოლის პოზიციაზე, რომელსაც ქალაქის მერის სრული მხარდაჭერა და მინიჭებული უფლებამოსილება ექნება: - ჩამოაყალიბეთ არგუმენტირებული მედეგობის ხედვა და ქალაქში წარმართეთ მედეგობის ირგვლივ დისკუსიები - უხელმძღვანელოთ მედეგობის სტრატეგიის შემუშავების პროცესს 100RC ქსელისა და პარტნიორთა პლატფორმისათვის შეასრულოთ მთავარი საკონტაქტო პირის ფუნქცია - პროდუქტიული წვლილის შეიტანეთ 100RC ქსელის საქმიანობაში - ქალაქი ოფიციალურად წარადგენს მმ-ს და განსაზღვრავს მის როლს ქალაქის სტრუქტურაში - სტრატეგიის განხორციელების პროცესის სამართავად, ქალაქი მხარს დაუჭერს მმ-ს კოორდინირებაში და რესურსების მობილიზებაში	
პირველი საგრანტო გადართიცვა	საქირო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ (ისილით დანართი N2)
საგრანტო გადახდამდე ქალაქმა უნდა წარადგინოს დანართ N2-ში მოყვანილი დოკუმენტაცია: - მმ-ს სახელი/გვარი და რეზიუმე - საბოლოო ორგანიზაციული სტრუქტურა - მმ-ს ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვიდრე საგრანტო გადახდა განხორციელდება ქალაქისათვის, მმ უნდა იყოს სამსახურში აყვანილი/თანამდებობაზე დანიშნული, იღებდეს სახელფასო ანაზღაურებას.	

მედეგობის სტრატეგია

მმ-ს სამუშაოზე

აყვანიდან/თანამდებობაზე

დანიშნუნიდან 9-12 თვის ვადაში

1. მერი ან მისი თანასწორი მონაწილეობას მიიღებს და უზრუნველყოფს ქალაქის მაღალი რანგის ოფიციალური პირების პროცესში ჩართვას.
2. ქალაქი მმ-ს მხარს დაუჭერს 100RC-თან თანამშრომლობაში და მედეგობის სტრატეგიის შემუშავებისათვის აირჩევს RPA/100RC მიერ დაფინანსებულ მრჩეველ პარტნიორს
3. მთელი ქსელისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქალაქი 100RC-ის წევრ ქალაქებს და მათ სტრატეგიულ პარტნიორებს გაუზიარებს მედეგობის სტრატეგიის შუალედურ შედეგებს
4. ქალაქი განახორციელებს მედეგობის სტრატეგიას
5. ქალაქი გაასაჯაროებს მედეგობის სტრატეგიას

მერის/ქალაქის აღმასრულებელი ხელმძღვანელის წერილი

მმ-ს სამუშაოზე

აყვანიდან/თანამდებობაზე

დანიშნუნიდან 12-18 თვის ვადაში

წერილში უნდა შედიოდეს

1. მედეგობის სტრატეგიის განხორციელების უახლესი შედეგები
2. ბოლო მონაცემებით ქალაქისათვის მმ-ს წვლილი
3. მომდევნო წლების ხედვა მმ-ს როლზე
4. რა პოტენციური არსებობს იმისათვის, რომ ქალაქის მთავრობაში მმ-ს პოზიციის მუდმივი დამკვიდრება და ინსტიტუციონალიზაცია განხორციელდეს

პირველი წლის სამოქმედო გეგმა

მედეგობის სტრატეგიის შემუშავებიდან 30 დღის ვადაში

ქალაქის და 100RC-ის მიერ განსაზღვრული მთავარი პრიორიტეტული ინიციატივები (კომპლექსურობიდან და რესურსების საჭიროებიდან გამომდინარე დაახლოებით 5-15 ინიციატივამდე)

მასში შევა პროექტების წესდებები და პრიორიტეტული ინიციატივების განხორციელების დეტალური დიზაინი (მათ შორის განრიგი და მისაღწევი შედეგები, ინიციატივების ლიდერები და ჯგუფები თავისი მიზნებით და ვალდებულებებით, მთავარი პარტნიორები, შესრულების და მედეგობის მატრიქსები, კომუნიკაციის შესაძლებლობები), რომლებიც 100RC-თან და პარტნიორებთან მიმდინარე კონსულტაციებით განისაზღვრება.

განსაზღვრავს კომუნიკაციის და პროპაგანდის სტრატეგიას, რათა მოხდეს პირველი წლის პროგრესისა და შედეგების განსაზღვრა და ამავედროულად წარმატების, პარტნიორთა მონაწილეობის და პროექტის პროგრესის გაუმჯობესება.

მმ-ს ოფისის ინსტიტუციონალიზაციისა და დავალებათა კონცეფციის ფორმირების საკითხები

ნასვევარი წლის ანგარიში	გრანტის პერიოდის განმავლობაში ყოველწლიურად 30 ივნისს და 31 დეკემბერს
1. პროგრესის და ფისკალური ანგარიში - გრანტის ადმინისტრატორი წარმოადგენს 100RC პროგრამის პროგრესის სრულ და დეტალურ განხილვას. 100RC მიაწვდის ფორმატს და ანგარიშში შესატან მასალებს თითოეული საანგარიშო პერიოდის მაისისა და ნოემბრის თვისათვის 2. 100RC-თვის ანგარიშის ჩაბარებამდე, დოკუმენტი უნდა დაადასტუროს მმ-ს სუპერვაიზერმა (ზემდგომმა)	
მეორე საგრანტო გადახდა	სტრატეგიის დასრულების და მთავარი შედეგების მიღწევის გათვლისწინებით, მმ-ს სამუშაოზე აყვანის/თანამდებობაზე დანიშვნის ერთი წლის თავზე
მედეგობის სტარტეგიასთან ერთად, ძირითადი მისაღწევი შედეგები მეორე საგრანტო გადახდამდე სავალდებულო იქნება. ზემოაღნიშნულში მინიჭუმ უნდა შედიოდეს: ერთი წლის სამოქმედო გეგმა გრანტის ანგარიშები მერის ან ქალაქი აღმასრულებელ ხელმძღვანელის წერილი	

დანართი N2: სავალდებულო დამატებითი დოკუმენტაცია

შესრულების დოკუმენტაცია განმარტება თარიღი		
გრანტის ხელშეკრულებას შესრულებამ დე	მმ-ს ხელფასის კალკულაცია და დადასტურება	1. ხელფასი: ქალაქის იერარქიული ტიტულის შესაბამისი გადახდის ოდენობა. შედარებისათვის დღესდღეისობით მსგავსი პოზიციის ხელფასზე ინფორმაცია
	მმ-ს პოზიცია	1. მმ-ს სამუშაოს აღწერა 2. განცხადება სამუშაო პოზიციაზე (მხოლოდ თუ არის გამოცხადებული)
პროექტი გრანტის ხელშეკრულებას შესრულებამ დე	ორგანიზაციულ ი სქემა ან მინაარსი	ორგანიზაციულ სქემაში უნდა შედიოდეს: 1. მმ-ს ტიტული (მაგალითად X-ს მოადგილე) 2. დეპარტამენტი, სადაც მმ იჯდება 3. დეპარტამენტის დონეზე მმ-ს თანასწორი პირები 4. ინსტანციათა ჯაჭვი დეპარტამენტსა და მერს (ან მის თანასწორს) შორის 5. ვის წინაშე არის მმ ანგარიშვალდებული 6. ვინ არის მმ-ს წინაშე ანგარიშვალდებული
გადახდამდე	არჩეული მმ და უშუალო ანაზღაურება	1. მმ-ს სახელი და გვარი 2. მმ-ს რეზუმე 3. მმ-თვის გადასახდელი ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტი 4. ქალაქისაგან მმ-თვის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯებს გადახდის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი
	უწყების დამადასტურებელი	1. გრანტის ამერიკის შეერთებული შტატების მიმღებისათვის სავალდებულოა W9 და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო შეღავათების წერილი 2. გრანტის საერთაშორისო მიმღებისათვის საჭიროა ზემოხსენებულის ტოლფასი დოკუმენტაცია. გთხოვთ, დაუკავშირდეთ 100RC დამატებითი ინფორმაციისათვის
	ელექტრონული ფორმატით მიწოდებული ინფორმაცია	100RC გრანტის მიმღებს შესავსებად მიაწვდის ელექტრონული გადახდის საინფორმაციო ფორმას 1. გრანტის საერთაშორისო მიმღებისათვის საგრანტო გადარიცხვა ფულადი სახსრების უნაღდო გადარიცხვით მოხდება (ეგრეთ წოდებული ვაიერ ტრანსფერი)

დანართი N3: მმ-ს თანამდებობრივი ინსტრუქცია



თანამდებობრივი ინსტრუქცია: მედეგობის მთავარი ოფიცერი (CRO)
"100 მედეგი ქალაქის" პროგრამა

ნაწილი A: სამსახურეობრივი პოზიცია და ინფორმაცია

A.1 პოზიციის იდენტიფიკაცია	
მუნიციპალიტეტი	თბილისის მუნიციპალიტეტი
თანამდებობრივი ტიტული	მერის მრჩეველი მედეგობის საკითხებში
თანამდებობრივი პოზიციების რაოდენობა	01
დაქირავებული პერსონალი	გათანაბრებულია საქალაქო სამსახურის უფროსის პოზიციასთან

A.2 თანამდებობრივი პოზიციის დახასიათება
პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო მოსახლეობის 50%-ზე მეტი ურბანულ სივრცეში ცხოვრობს. თანამედროვე ქალაქის საგადასახადო წყობა და ქალაქის ფუნქციონალური ანალიზი ბევრად შეიცვალა და ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა. მოსახლეობის სიმჭიდროვე, კლიმატის ცვლილება, არასტაბილური ეკონომიკა, სოციალური უთანასწორობა, მიგრაცია და რესურსების სიმწირე. თითოეულმა ქალაქმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საკუთარ

მედეგობაზე მორგებული სტრატეგია, რომ შეძლოს მოსალოდნელ რისკებთან გამკლავება და გაძლიერება მიღებული გამოცდილების შედეგად. ამ სტრატეგიას უნდა კურიერებდეს მერის მრჩეველი მედეგობის საკითხებში.

მედეგობის მრჩეველი (CRO) არის მაღალი რანგის მრჩეველი, რომელიც ანგარიშვალდებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. მისი ამოცანაა, შექმნას თავისი ქალაქისათვის დამაჯერებელი მედეგობის ხედვა; ასევე,

ვალდებულია ითანამშრომლოს ყველა საქალაქო სამსახურთან/მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინოვაციების მაქსიმალური ზრდისა და არაპროგნოზირებადი უარყოფითი მოვლენების ზეგავლენის შესამცირებლად.

მედეგობის მრჩეველმა (CRO) ქალაქის მედეგობის სტრატეგიის გააქტიურებისათვის უნდა შეძლოს კოლეგებისა და ქალაქის მაცხოვრებლების დარწმუნება და მათი საქმეში ჩართვა.

მედეგობის მრჩეველი კარგად უნდა ათვისებდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს (მათ შორის ადგილობრივი თემის), იმისათვის რომ მიიღოს და შეინარჩუნოს მუნიციპალიტეტის ლიდერის, ქალაქის მაცხოვრებლების და მთავარი მონაწილე პირების მხარდაჭერა.

მედეგობის მრჩეველმა ინფორმაციის, იდეების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და ეფექტური ინოვაციების განვითარების მიზნით, უნდა წარმოადგინოს ქალაქი გლობალურ ფორუმებზე.

მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სექტორებთან და სფეროებთან დაკავშირებით საქმის საწარმოებლად, როგორცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ჯანდაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, განათლება და საზოგადოებრივი ჩართულობა.

მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს სამუშაოს რამდენიმე მიმართულებით ეფექტური და ნაყოფიერი მართვა.

პროექტი "100 მედეგი ქალაქი" მიისწრაფვის, შექმნას ურბანული მედეგობის ირგვლივ გაერთიანებული მდგრადი და გლობალური საზოგადოება. პირველი ასი ქალაქის მედეგობის მრჩეველებიც სწორედ ამ ახალი საზოგადოების დამაარსებლები იქნებიან და საფუძველს ჩაუყრიან მომავალში ამ ქსელის განვითარებას.

მედეგობის მრჩეველი პასუხისმგებელი იქნება თბილისის მედეგობის სტრატეგიის განხორციელებასა და მედეგობის გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის მდგრადი საფუძვლების შესაქმნელად გატარებულ მხარდამჭერ პროგრამებზე.

მედეგობის მრჩეველი უხელმძღვანელებს:

- მედეგობის სტრატეგიისა და მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
- მედეგობის სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად ეფექტურად ითანამშრომლებს "100 მედეგი ქალაქის" პარტნიორებთან;
- ქსელის სარგებლის ეფექტური გამოყენების მიზნით, იქნება მთავარი საკონტაქტო პირი "100 მედეგი ქალაქის" წევრებისათვის;
- უტყუარი მედეგობის ხედვის ჩამოყალიბებისა და მედეგობის საკითხის განვითარებისთვის მუნიციპალიტეტიდან და რეგიონებიდან სხვადასხვა მონაწილე მხარეების, არასამთავრობო სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლების თავმოყრის პროცესს.

მედეგობის მთავარ ოფიცერს უნდა ჰქონდეს სტრატეგიების, პოლიტიკისა და სხვადასხვა პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელების დასაბუთებული ხედვა და გამოცდილება სამთავრობო, სათემო და ინდუსტრიულ სექტორში, ისევე როგორც პროექტების წარმატებული მართვის და მონაწილე მხარეებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გამოცდილება.

A.3 ლოკაცია	
ქალაქის ადმინისტრაცია	თბილისის მუნიციპალიტეტი

ნაწილი B: თანამდებობრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

1. მედეგობის ფუნქციის სტრატეგიული მიმართულება 1.1 მედეგობა და ინტეგრირებული განვითარების გეგმა (IDP) ➤ ქალაქის ხელმძღვანელობის დასახმარებლად ინტეგრირებული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხილვაში მონაწილეობა; • ინტეგრირებული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ურბანული მედეგობის პრინციპების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად; • ურბანული მედეგობის მახასიათებლებით მუნიციპალური პროექტების გადასახარისხებლად შესაბამისი სისტემების შესამუშავებლად; • მუნიციპალიტეტის მიერ მედეგობის პრინციპების შესრულების ხელშეწყობისათვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შესამუშავებლად. ➤ პროგრამული და სტრუქტურული პროგრესის უზრუნველყოფა თბილისის მედეგობის გაძლიერების და განვითარების მიზნით.
1.2 მედეგობაზე ორიენტირებული აზროვნება და კვლევები ➤ მედეგობაზე ორიენტირებული შესაბამისი აზროვნებისა და კვლევების ხელშეწყობა: • სხვადასხვა მონაწილე მხარეებს შორის მედეგობის თემაზე დისკუსიების გამართვისათვის პლატფორმების შექმნის ხელშეწყობით; • ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტებთან და საინფორმაციო წყაროებთან კავშირების გაძლიერებითა და მედეგობაზე ორიენტირებული კვლევების დაკვეთით; • მედეგობასა და ცვლილებაზე ორიენტირებული აზროვნების განვითარების მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კვლევების წარმოებით. ➤ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ღირებული მედეგობის სტრატეგიის შემუშავების უზრუნველყოფა.
2. თბილისისთვის მედეგობის სტრატეგიის შემუშავება მედეგობის დაგეგმვა ➤ ქალაქის ხელმძღვანელობასთან მუშაობით დაიწყოს თანამშრომლობითი დიალოგი და დისკუსია მუნიციპალიტეტის დონეზე ურბანული მედეგობის დაგეგმვაში ჩართულ ყველა მხარეს შორის შემდეგ საკითხებზე: • მედეგობის სტრატეგიის შემუშავების მხარდაჭერისთვის შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნა; • პროცესში საზოგადოების აქტიური და დაბალანსებული მონაწილეობის

უზრუნველყოფა:

- მედეგობის დაგეგმარების მიზნით რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზება;
 - თბილისში მედეგობის სწორი ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ქალაქში მედეგობის საკითხის აქტუალურობის წარმოჩენა;
 - ახალი გეგმებისა და პროექტების მომზადებისას ურბანული მედეგობის სფეროში უკვე შესრულებული სამუშაოების გათვალისწინება;
 - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სექტორების როლის გათვალისწინება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
 - მედეგობის მუნიციპალურ სტრატეგიაში დარგობრივი გეგმების კოორდინირება.
- თბილისის მუნიციპალიტეტში დარგთაშორისი მედეგობის დაგეგმარების ხელშეწყობა.

3. თბილისის მედეგობის სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი

- ქალაქის მედეგობის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობისათვის:
- მუნიციპალიტეტის მედეგობის შესაბამისი მიზნების დასახვა და მათთვის პრიორიტეტების მინიჭება;
 - მედეგობის პრიორიტეტული ინიციატივების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების მოპოვება;
 - მონაწილე მხარეების წახალისება სამუშაო სფეროში შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის;
 - მედეგობის სტრატეგიის ფარგლებში ინიციატივების განხორციელების კონტროლი;
 - შესაბამისი შეხვედრების ხელშეწყობა პროექტის იმპლემენტაციის მიზნით;
 - მსოფლიო პრაქტიკის პარამეტრებისა და მედეგობის მაჩვენებლის მიზანშეწონილობის შესასწავლად შესაბამის საქალაქო სამსახურებთან და გარე ჩართულ მხარეებთან მუშაობა;
 - დარგთაშორისი მედეგობის ანგარიშგების კოორდინირება;
 - ქალაქის მედეგობის სტრატეგიის რეგულარული გადახედვა და განახლება.
- მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული სამუშაოების და დასახული მიზნების შედარების უზრუნველყოფა.

4. ჩართული მხარეების მართვა

4.1 ურთიერთობა გარე ჩართულ მხარეებთან

➤ ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად მუნიციპალურ სფეროში მედეგობის და ცვლილებების დაგეგმვის უზრუნველყოფა; • შესაბამის სახელწიფო და რეგიონალურ უწყებებთან რეგულარული ურთიერთობით და დისკუსიებით; • შესაბამის სამოქალაქო საზოგადოებებთან, არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციებთან რეგულარული ურთიერთობით; • საკუროების შემთხვევაში მრავალმხრივი მედეგობის დაგეგმვის ფორუმის შექმნა. ➤ ინსტიტუციური ურთიერთობების სისტემის შექმნა მედეგობის და ცვლილებების დაგეგმვის გაუმჯობესებული კოორდინაციისა და ჩართულ მხარეების შორის იმპლემენტაციისათვის.
4.2 ურთიერთობები შიდა მონაწილე მხარეებთან ➤ თბილისის მუნიციპალიტეტის შიგნით ურბანული მედეგობის ფუნქციის კოორდინირება და მრჩეველის როლის შესრულება შემდეგი აქტივობების განხორციელებით: • ადგილობრივ დონეზე სექტორული და პოლიტიკური კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა ვარიანტების შესწავლა; • მედეგობის სტრატეგიის შემუშავების გადამწყვეტ სტადიებზე ქალაქის მუნიციპალიტეტის სუბიექტების შეკრება რჩევის მიწოდებისა და საკუთარი წვლილის შეტანისათვის; • მუნიციპალიტეტისათვის მედეგობის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე ქალაქის ხელმძღვანელობისათვის მრჩეველის როლის შესრულება. ➤ მედეგობის გეგმებით სასურველი შედეგის მიღწევისათვის, ყველა მუნიციპალურ აქტივობაზე გავლენის მოხდენა.
4.3 "100 მედეგი ქალაქის" ურთიერთობები ➤ პროექტთან "100 მედეგი ქალაქი" დაკავშირებული მუდმივი კომუნიკაციისა და მიღწეული შედეგების ანგარიშგების უზრუნველყოფა: • 100 მედეგი ქალაქის ქსელის და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის მთავარი საკონტაქტო პირის როლის შესრულებით; • სხვადასხვა საკითხებისა და მიღწეული შედეგების განხილვისათვის რეგულარულად კონფერენციების მოწყობით; • პროექტის მიერ ორგანიზებულ შესაბამის ღონიძირებებზე დასწრებით; • ფორმალურ შეხვედრებს შორის ელექტრონული ფოსტით მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფით. ➤ პროექტის ვადებში "100 მედეგი ქალაქის" პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

5. მედეგობის სფეროს განვითარება

5.1 შესაძლებლობების გაზრდა

- შესაბამის მონაწილე მხარეებს შორის მედეგობისა და ცვლილებების შესაძლებლობის გაზრდა:
- ურბანული მედეგობის შესახებ საზოგადოებრივი ცოდნის გაზრდაზე ორიენტირებული დისკუსიებისა და დიალოგების ხელშეწყობით;
- ადეკვატური სწავლების მეთოდებით მედეგობის სფეროში მუნიციპალიტეტის პერსონალის უნარ-ჩვევების განვითარებით;
- პროექტის “100 მედეგი ქალაქი” მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და სასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების გზით;
- მუნიციპალურ სექტორში მედეგობის სფეროსთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების მაქსიმალურად გაზრდის უზრუნველყოფა.

5.2 მედეგობის ფუნქციის განვითარება

- თბილისის მუნიციპალიტეტში მედეგობის ფუნქციის გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაწევა:
- თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულების პროცესში მიღებულ და კონსოლიდირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ სფეროში ჩართულ სხვა პირებთან კომუნიკაციის დამყარების გზით;
- ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსებზე შესაბამისი უწყებებთან ანგარიშის წარდგენით.
- მედეგობის ფუნქციისათვის შესაბამისი სტრუქტურისა და რესურსების უზრუნველყოფა.

5.3 მედეგობის ფუნქციის შესრულება და განვითარება საერთაშორისო დონეზე

- ურბანული მედეგობის ირგვლივ გლობალურ დონეზე ცნობიერების ამაღლება:
- პროექტი “100 მედეგი ქალაქი” ქსელის ფარგლებში და საერთაშორისო ფორუმებზე ქალაქის წარმოჩენით;
- სხვა “მედეგობის მრჩეველებთან” და პროექტთან დაკავშირებული ურბანული მედეგობის ირგვლივ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით.
- გლობალურ აზროვნებასა და დაგეგმვაში მედეგობის კონცეფციის პოპულარიზაციით და არსებული პლატფორმების გამოყენების გზით ინტეგრირებით;
- მედეგობის გამოცდილი სპეციალისტების ცოდნის გაზიარებით და პრაქტიკოსთა

საზოგადოებების ჩამოყალიბებით.

- გლობალურ კრილში მედეგობის აზროვნების უზრუნველყოფა.

6. პროგრამის მართვის ფუნქციები

6.1 პერსონალისა და მომსახურების პროვაიდერების მართვა

- ფუნქციის ფარგლებში პერსონალისა და მომსახურების პროვაიდერების საქმიანობასთან ასოცირებული შედეგების კონტროლი:
 - "100 მედეგი ქალაქის" პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად პერსონალისა და მომსახურების პროვაიდერების ფუნქცია-მოვალეობების შესრულების მთავარი მაჩვენებლების განსაზღვრა და მონიტორინგი;
 - საშტატო ერთეულებისა და საჭირო დამატებითი მხარდამჭერი ადამიანური რესურსების განსაზღვრა;
 - შესყიდვებისა და სამუშაოზე აყვანის პროცესებში მონაწილეობის მიღება;
 - დასახული მიზნის უზრუნველსაყოფად პირდაპირ დაქვემდებარებული პერსონალისა და მომსახურების პროვაიდერების საქმიანობის გადახედვა და შეფასება.
- თბილისში "100 მედეგი ქალაქის" პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.

6.2 ადმინისტრაცია და ანგარიშის წარდგენა

- მართავს შესრულებისა და შედეგობის მთავარ მაჩვენებლებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და საანგარიშგებო მოთხოვნებს, ასევე უზრუნველყოფს:
 - თბილისის მუნიციპალიტეტს, როკფელერის ფონდსა და "100 მედეგი ქალაქს" შორის გრანტის ხელშეკრულების საბოლოო გაფორმებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ამ ხელშეკრულებით განპირობებული პირობების შესრულებას;
 - "100 მედეგი ქალაქისათვის" რეგულარული პროგრესის ანგარიშის წარდგენას;
 - პროცესისა და "100 მედეგი ქალაქის" პროგრამაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების დოკუმენტირებას;
 - მოთხოვნის შესაბამისად, ყველა კორესპონდენციისა და მოთხოვნისათვის პასუხის გაცემას.
- "100 მედეგი ქალაქის" პროგრამის საჭიროების შესაბამისად ადმინისტრაციული პროცესისა და ანგარიშგების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქტივობებზე ზუსტი ინფორმაციას აწვდის.

6.3 ბიუჯეტი და ფინანსები

- კაპიტალისა და ფუნქციონირებისათვის სავარაუდო ხარჯების დაგეგმვა/მომზადება და ხარჯების კონტროლი დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებებთან მიმართებაში, რომლებიც განისაზღვრა:
 - “100 მედეგი ქალაქის” პროგრამის საჭიროებებს შესაბამისად;
 - დაფინანსების პერიოდის ხარჯების განსაზღვრისათვის საოპერაციო საჭიროებებისა და საბიუჯეტო დაგეგმვის გაანალიზების შედეგად;
 - კაპიტალის, მიმდინარე ხარჯების აღრიცხვისა და ცდომილებების გადაჭრის მონიტორინგით;
 - ფინანსური სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულარული ანგარიშების შედგენით.
- “100 მედეგი ქალაქის” პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად სწორი ხარჯთაღრიცხვის მომზადების უზრუნველყოფა და პროგრამის ეფექტურად განხორციელების დადასტურება.

ნაწილი C: საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სამუშაოსთან დაკავშირებული უნარჩვევები მოიცავს შესაბამის განათლებას ან გამოცდილებას, სპეციალიზირებულ ტრენინგს, პირად მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს.

C.1 თანამდებობისთვის აუცილებელი მოთხოვნები	
კვალიფიკაცია	მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია.
გამოცდილება	ქვემოთ მოყვანილი გამოცდილების სფეროები ამ პოზიციისათვის აუცილებლობად მიიჩნევა: მენეჯმენტი მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მენეჯერის პოზიციაზე. დარგთაშორისი პროექტების განხორციელება მედეგობის მრჩეველს მინიმუმ ერთი მასშტაბური პროექტი (დაწყებიდან დამთავრებამდე) უნდა ჰქონდეს განხორციელებული - კონცეფციის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ფაზების ჩათვლით პროგრამის სრულმასშტაბიანი შემუშავება და შესრულება

	მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს წარმატებულად განხორციელებული მასშტაბური პროექტი, რომელიც სხვადასხვა დარგებსა და დისციპლინებს შორის კოორდინირებასა და აღსრულებას მოიცავს. გუნდის მართვა • მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს ქალაქის მთავრობაში მუშაობის გამოცდილება, ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი (სასურველია მმართველობის სფეროში); • მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს წარმატებულად განხორციელებული მასშტაბური ინიციატივა ქალაქის ფარგლებში (ადგილობრივი კონტექსტის, ურთიერთობების და დინამიკის ცოდნის დასტურად) ქალაქის მმართველობაში მუშაობის გამოცდილება მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს გუნდის წარმატებულად მართვის გამოცდილება, მათ შორის: პირდაპირ დაქვემდებარებული პირების, კოლეგების და ასევე, მრჩეველებისა და კონტრაქტორების. სასწავლო ფორუმებში მონაწილეობა მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს სასწავლო და სადისკუსიო ფორუმებში მონაწილეობის მიღების გამოცდილება - სასურველია მრავალეროვნულ ან მინიმუმ მრავალ დარგობრივ კრილში.
შესაძლებლობები	ხელმძღვანელობა მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს ჯგუფის მოტივირება და ქალაქის მედეგობის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში ჩართვა. სამეწარმეო სულისკვეთება მედეგობაზე ორიენტირებული აზროვნება განვითარების სტადიაში მყოფი დისციპლინაა. მედეგობის მრჩეველს უნდა ჰქონდეს გამომგონებლური უნარი, შეეძლოს ექსპერიმენტირება და რისკისების გაწევა. ადგილობრივ უწყებებთან ურთიერთობის დამყარების უნარი • მედეგობის მრჩეველი კარგად უნდა იცნობდეს ადგილობრივ გარემოს და შეეძლოს მუნიციპალიტეტის უმაღლეს რგოლთან და გავლენის მქონე პირებთან კარგი

	ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება. • უნდა შესწევდეს ადგილობრივ გარემოში მოქმედებისა და კოორდინირების უნარი. საერთაშორისო დონეზე ურთიერთობების დამყარების უნარი • მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს ქალაქის წარმოჩენა როგორც პროექტის "100 მედეგი ქალაქი" ფარგლებში, ასევე სხვა გლობალურ ფორუმებზე. დარგთაშორისი საქმიანობის წარმართვის უნარი • მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს სხვადასხვა დარგებთან და დისციპლინებთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანობის წარმართვა (მათ შორის: გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ჯანდაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, განათლება, სამოქალაქო მონაწილეობა) • მედეგობის მრჩეველს ასევე, უნდა შეეძლოს ახალი დისციპლინების სწრაფი ათვისება. პროექტის მენეჯმენტი • მედეგობის მრჩეველს უნდა შეეძლოს ერთდროულად სამუშაოსა და ურთიერთობების რამდენიმე მიმართულებით ეფექტურად და პროდუქტიულად მართვა. ეფექტური კომუნიკატორი • გადმოცემის უნარი და კომუნიკაციის სხვა ფორმები გადამწყვეტ როლს ითამაშებს მედეგობის ირგვლივ ქალაქში დისკუსიების წარმართვისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. • მედეგობის მრჩეველმა უნდა გაითავისოს სწორი კომუნიკაციის მნიშვნელობა და შეასრულოს მთავარი როლი კომუნიკაციების სტრატეგიის წარმართვაში. • ქართული და ინგლისური ენების ზედმიწევნით კარგი ცოდნა აუცილებელია.
--	---

D.1 ძირითადი ურთიერთობები/მონაწილე მხარეები	
მონაწილეობის სახეობა	ურთიერთობის ტიპი
ქალაქის მერი	მთავარი მონაწილე მხარე
ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე	მთავარი მონაწილე მხარე
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	მრჩეველი, ინფორმაციის მიმღები და გამზიარებელი
აღმასრულებელი ხელისუფლების ჯგუფი (ქალაქის მთავრობა)	ინფორმაციის გამზიარებელი, აფასებს მოთხოვნებს და შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ქალაქის სტრატეგიებში მედეგობის გაძლიერების როლს
პროექტის აღმასრულებელი ჯგუფი	ინფორმაციის გაზიარება, დელეგირება და წარმართვა
მრჩეველები, კონტრაქტორები (როკფელერის ფონდის მიერ დანიშნული)	სამუშაოს მართვა და განკარგვა
გაუქმებული მხარეები	ურთიერთობის ტიპი
საკონსულტაციო კომიტეტი	მთავარი საკონტაქტო ერთეული. საკონსულტაციო საბჭო მედეგობის მრჩეველს მედეგობის სტრატეგიის შექმნასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ რჩევებს მიაწვდის
როკფელერის ფონდი	მთავარი მონაწილე მხარე
“100 მედეგი ქალაქის” ქსელის წევრები	მთავარი მონაწილე მხარე
სახელმწიფო (ცენტრალური) მთავრობა	მთავარი საკონტაქტო ერთეული
მედეგობის გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული რეგიონის და როკფელერის სხვა მედეგი ქალაქები	მთავარი საკონტაქტო ერთეული
სამთავრობო სააგენტოები	მთავარი საკონტაქტო ერთეული
არასამთავრობო ორგანიზაციები,	უფლების მინიჭება, მონაწილეობის მიღება,

ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ფორუმები	ინფორმაციის მიწოდება, თანამშრომლობა
--	-------------------------------------

დანართი N 4: საორგანიზაციო სქემა

მმ-ს სტრუქტურული სქემა

